ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაკადული



საყმაწვილო ჟურნალი

იანვარი
№ 1

1910

მცირე წლოვანთათვის.
წელიწადი მეექვსე

223

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—მშვიდობა თქვენდა! —სურათი ....... .............. 1

II—ნინას სიზმარი,— ლექსი, შ. მღვიმელისა ............ 3

III—სიყვარულის გულისათვის,—ნინო ნაკაშიძისა......... 5

IV—ახალ წლის წინა ღამეს,—(რუსულით), ელენე ჭიჭინაძისა . 14

V—მოულოდნელი შობის ხე,—(რუსულით), ეკ. ანტონოვსკისა 19

VI—პირუტყვების გონიერება,—სპილომ კაცი ქურდობაში
დაიჭირა (თარგმანი), ოლ. ჭრელაშვილისა..... ......23

VII—ა) თოვლის გუნდა იწვის,—ბ) რებუსი და ახსნა. . . 24

5 24
821

# ნაკადული

№ 1. იანვარი 1910 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მშვიდობა თქვენდა!

თბილისი

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—მშვიდობა თქვენდა!—სურათი . . . . . . . . . . . . . . 1

II—ნინას სიზმარი,— ლექსი, შ. მღვიმელისა . . . . . . . . . 3

III—სიყვარულის გულისათვის,—ნინო ნაკაშიძისა. . . . . . . . . 5

IV—ახალ წლის წინა ღამეს,—(რუსულით), ელენე ჭიჭინაძისა . 14

V—მოულოდნელი შობის ხე,—(რუსულით), ელ. ანტონოვსკაისა 19

VI—პირუტყვების გონიერება,—სპილომ კაცი ქურდობაში დაიჭირა (თარგმანი), ოლ. ჭრელაშვილისა. . . . . . . . . . .23

VII—ა) თოვლის გუნდა იწვის,—ბ) რებუსი და ახსნა. . .24

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინას სიზმარი

პუდრაჭა დ: მაკვილაკი,
ენა მოტეხილი ხმა
წამოიჭრა ადრიანად
და დედასთან მიირბინა.

— დედავ, დედავ, გენაცვალე,
გამიგონე, მიგდე ყური,
წუხელ ვნახე მე სიზმარი
მეტის მეტი უცნაური.

ჩემ დედოფალს, აქამდინ მუნჯს,
ამოედგა ვითომ ენა;
თვალს ახელდა, მისცემოდა
მშვენიერი ყურთა სმენა.

ჯარისავით ტრიალებდა,
უტეხავდა შვილებს ბაბას
და უფროს ქალს თვით აცმევდა
ჩემ შეკერილ წითელ კაბას.

სხვა პატარა თოჯინებიც
შემოესხა ყველა გვერდით,
სთავაზობდა ხილეულსა:
ესე ტკბილად დამიბერდით.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვნივ ედგა აკვანიცა,
ზედ ტკბილ ნანას დამღეროდა,
რო ვხედავდი ყველა ამას,
მაოცებდა და მჯეროდა.

ფუასაც-კი ადუღებდა,
გამახსენდა ციცკას ძიძა.
გამეცინა გულიანად
და კიდევაც გამეღვიძა.

შ. მღვიმელი





# სიყვარულის გულისათვის

გამოეღვიძა თუ არა დილით თამაზს, მაშინვე ფანჯარასთან მიირბინა. მშვენიერი მზიანი დილა იყო და ირგვლივ მოფენილი თოვლი თეთრად ბჭყვრიალებდა მზის სხივებზე.

„დღესაც ისეთივე დილაა, როგორც გუშინ და ახალწელიწადი კია“—გაიფიქრა ცოტა არ იყოს გაკვირვებით თამაზმა. ის დღეს რაღაც განსაკუთრებულს დღეს მოელოდა, ისეთი სამზადისი იყო ყველგან. მაგრამ მაშინვე მოაგონდა, რომ დღეს საჩუქრები უნდა მიიღოს და გაიღიმა. უცებ კიდევ რაღაც მოაგონდა, საჩქაროდ მოტრიალდა და ტანთჩაცმა იწყო. მოსამსახურე ქალმა ფეხსაცმელები შემოუტანა.

— მარიამ, ერთი პატარა მათხოვარი ბიჭი უნდა მოსულიყო. აი, ის, მართასთან რომ მოდის. მარიამ—მოვაო; სათამაშოების ჩუქებასაც დავპირდი. თუ იცი, მოვიდა?—უთხრა მან ქალს.

— მაშ, არ მოვიდა?..

ამ დროს რაღაც ხმაურობა შემოესმა და მამის ხმა გაიგონა. „ეს რა ამბავია,—გაიფიქრა თამაზმა, მამა ასე ადრე როდის ამდგარა“. და სწრაფად წამოიჭრა, ფეხსაცმელებ-შეუკრავი გავარდა დიდ დარბაზში, საიდანაც მოდიოდა მამის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხსხუ,—უთხრა მამამ,—ჩუმად! წუხელ გვიან დავწექით და დედას სძინავს, არ გააღვიძო.

— ეს რა არის, მამა?

— ეს დედასათვის საახალწლო საჩუქარია,—სთქვა მამამ და მსახურის დახმარებით შემოაცალა ქაღალდი დიდ, ფერადებით დახატულ სურათს.

— აჰა, ეს ის სურათია, ჩვენ რომ ვნახეთ იმ დღეს და დედას რომ მოეწონა? შეტოკდა თამაზი.

— ჰოო, სწორედ ის არის და სწორედ იმიტომაც ვიყიდე დედისათვის, რომ ვასიამოვნო... აი, აქ დავკიდებ. როცა დედა გამოვა, უცებ დაინახავს და მალიან გაუხარდება.

თამაზმა კიდევ უფრო მორთო ცმუკვა და სიცილი.

მამამ და მოსამსახურემ დაჰკიდეს კედელზე ოქროს ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული დიდი სურათი და, როცა დაჰკიდეს, მამა გადგა განზე და შეხედა. სახეზე სიამოვნება და კმაყოფილება გამოეხატა.

— მართლაც და მშვენიერი სურათია, დედას მალიან გულით უნდოდა ეს სურათი ჰქონოდა. არა უშავს-რა, რომ მვირად ვიყიდე... სამაგიეროდ მოეწონება, ჩემო ცელქო თამაზ, დედაშენს, არა?!..

სურათზე ეხატა მონმებში გამოხვეული, წელში მოხრილი, მოხუცებული დედაკაცი და პატარა, უბედურის შესახედაობისა, თითქოს უკვე დაბერებული, თმა აწეწილი, დამონმილი გოგონა. ორივეს მველი ჩანთები ეკიდათ ზურგზე, დედაკაცი ჯოხს მიიბიჯებდა და მიდიოდნენ დაღვრემილნი.

თამაზი დააცქერდა სურათს და, ცოტა ფიქრის შემდეგ, ჰკითხა მამას:

— განა დედას ასე უყვარს მათხოვრები?

მამამ გადაიხარხარა.

— უყვარს, მაშ, არ უყვარს!—სთქვა და გადუსვა შვილს თავზე ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენც გიყვარს მამი, შენც?

— მეც, მეც. განა მშვენიერი სურათი არ არის?.. — მამამ ერთხელ კიდევ შეხედა სურათს და დაუქნია თითი თამაზს. — აბა, ახლა ჩუმად. დედა არ გააღვიძო. წადი შენს ოთახში, მეც ცოტას კიდევ დავიძინებ, ადრეა ჯერ.

მამა გავიდა. მოსამსახურემ გაიტანა ქაღალდები, გაასწორა მაგიდა და გავიდა.

თამაზი-კი გაჭქანდა სამზარეულოსაკენ. სამზარეულოში დიდ მაგიდას, რომელზედაც ეწყო სხვა-და-სხვა საჭმელები და ტკბილეულობა, შემოსხდომოდნენ მოსამსახურეები და ჩაის შეექცეოდნენ, შუაში ჩაესვათ პატარა, შავთვალა, ცოცხალი, მონმებიანი ბიჭი.

შევიდა თუ არა თამაზი, მაშინვე ყველანი წამოდგნენ. მსუქანი უკვე მოხუცებული მზარეული ქალი მართა სიცილით, ხელებ გაშლილი მოეგება, მოეხვია და თავში ამოვლებული პური ჩაუდვა პირში.

— ასე ტკბილად დაგაბეროს, შვილო, დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა. და შემდეგ დიდი ნაჭერი გოზინაყი მიაწოდა. სოფლიდან ჩამოსულმა მარიას ქმარმა ახალუხის ჯიბიდან ჩურჩხელები ამოიღო, მიართვა თამაზს, აკოცა და უთხრა:

— ღმერთმა სასახელო კაცი გაგზარდოს, ბიძია.

ლაქიმ გერასიმემ მიატოვა წაღების წმენდა, მხიარულად ამოიღო ჯიბიდან დიდი ნახატიანი და ფოჩიანი კამფეთი, მიაწოდა და მიულოცა:

— მომილოცავს ახალი წელიწადი, თამაზ! ღმერთმა მრავალს დაგასწროს!

მარიამმაც ორი წითელ-ლოყიანი დიდი ვაშლები აჩუქა. მხოლოდ პაწია მათხოვარი იდგა და იქით-აქეთ იცქირებოდა თავის მოელვარე თვალებით.

უცებ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, საჩქაროდ მოტრიალდა და ჩაყო ორივე ხელი თავის სამათხოვრო ჩანთაში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მხარზე ჰქონდა გადაკიდული, სწრაფად ამოიღო ქაღალდში გახვეული ფორთოხალი, მიაწოდა თამაზს, მოეხვია, აკოცა და გრძნობით უთხრა:



— მომილოცავს... ღმერთმა მრავალ ახალწელიწადს დაგასწროს... აი, ფორთახალი, გუშინ ერთმა ვაჭარმა მომცა.

ყველა ასიამოვნა პატარა ბიჭის საქციელმა.

მზარეულის ქმარმა ალერსით გადაუსვა თავზე ხელი და ახლა იმისთვის ამოიღო ჩურჩხელები ჯიბიდან.

მართას თუმცა სახე უცინოდა, თვალთაგან მაინც წამოსკდა ცრემლები.

— შვილო, შვილო, შვილო!.. შე, საცოდავო, უდედმამოვ!.. ერთი ფორთოხალი ჰქონდა და იგიც არ დაენანა, — ამბობდა.

— მე ახლავე...— სთქვა თამაზმა, — მე შეგინახე... წავიდეთ ჩემ ოთახში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აცალე, გენაცვალე, ჯერ ჩაი დალიოს, — უთხრა მზარეულმა.

— აბა, მეც დავლევ, — სთქვა თამაზმა და საჩქაროდ დაჯდა ბიჭთან.

— როგორ შეიძლება სამზარეულოში! ქალბატონი რას იტყვის?

თამაზი ერთ წუთს შეკრთა, მაგრამ მაშინვე ისევ წარმოსთქვა:

— შენი ჭირიმე, მარიამ... დედას არ ეწყინება... სმინავს.

— კარგი, არა უშავს-რა.. დღეს ახალწლის ხათრისათვის.— სთქვა მართამ და დაუსხა ჩაი.

როცა ჩაის მორჩნენ, თამაზი ადგა და მოჰკიდა ხელი პატარას.

— არა, ოთახებში როგორ შეიძლება! ბატონებს გააღვიძებთ,— სთქვა მარიამმა.

— ჩუმად ვიქნებით, შენი ჭირიმე, მარიამ.

— ფეხებიც ტალახიანი აქვს, სულ დასვრის იატაკს.

— ჩუსტებს გავიხდი, ისე წავალ,— სთქვა მათხოვარა ბიჭმა მხიარულად.

მარიამმა შეხედა მართას და არა სთქვა რა.

ბავშვები გაიქცნენ აივანზე ოთახებისაკენ.

შეირბინეს თუ არა დერეფანში, დარბაზის კარებთან გაჩნდნენ. პატარა ერთ წუთს შეჩერდა და გაკვირვებულმა სანახაობით შეჰყვირა.

— იცი, რა,— უთხრა თამაზმა,— დღეს მამამ აქ დედასათვის საჩუქარი დაჰკიდა... განგებ ადრე ადგა...

მან შეიყვანა პატარა ბიჭი დარბაზში და მიიყვანა სურათთან. ბიჭს კი უფრო სახლის მორთულობა აკვირვებდა. გაფაცეცებით იცქირებოდა იქით-აქეთ. იატაკზე გაშლილი ხალიჩები, ფარჩის რბილი სავარძლები, ქანდაკებანი — ყველაფერი უცხო-სანახავი იყო იმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, რა კარგია აქ! — სთქვა პატარამ.

— შენი სახლი სად არის? — ჰკითხა თამაზმა.

— მე სახლი არა მაქვს

— მაშ, შენი დედა სადცხოვრობს?

— მე დედა არ მყავს, — სთქვა ბიჭმა და ცრემლებით აევსო თვალები. — ჩემი დედა მოკვდა და აღარავინ არ მეფერება.

— არავინ არ გეფერება?!

— არავინ, სულ არავინ.

თამაზ ერთ წუთს შეკრთა, დაღონდა; თითონაც ცრემლები მოადგა თვალებზე. ცოცხლად წარმოიდგინა დედის ალერსის დროს თავისი სიხარული, შეეცოდა პატარა ბიჭი და გული მწუხარედ შეეკუმშა. მაგრამ უცებ სახე ისევ გაუბრწყინდა და ცოცხლად და მხიარულად წამოიძახა:

— იცი, რა, დედას მათხოვრები მალიან უყვარს... მამასაც... აი როგორ უყვარს, შეხედე, ნახატი იყიდა მამამ დედისათვის... შენც ჩვენთან დარჩი და ჩემი დედა მოგეფერება... შენი დედაც იქნება... გინდა?.. დარჩები?... დარჩები?..

— დავრჩები, მაგრამ შენი დედა არ იზამს, — სთქვა დაღონებულმა ბიჭმა — ჩემი დედა არ იზამს?!. ჩემი დედა ისე ნატრობდა ამ მათხოვარს...

— თამაზმა მიუთითა კედლისაკენ. — დედას მალიან გახარდება... ისე უყვარს მათხოვრები... მამამ სთქვა...

უცებ ბავშვებმა მოიხედეს: დარბაზის კარებში შემოვიდნენ სახე გაშუქებულნი, მშვენიერი ტანისამოსით მორთულნი დედა და მამა. ორივენი სურათისაკენ იყურებოდნენ.

— ოჰ, რა საუცხოვოა!.. როგორ მასიამოვნე! — სთქვა დედამ და მოიხედა ბავშვებისაკენ.

— თამაზ! წარმოსთქვა დედამ გახარებულმა და უცებ შეჩერდა, — ეს ბიჭი?. ვი... ვინა არის?

ეროვნული

ბიჭი მონმებში, ჩანთა გადაკიდული, ფეხშიშველა, [illegible] შემკრთალი, გაფართოებულის, შავი ელვარე თვალებით. თმის შავი კულულები უსწორ-მასწოროდ ეყარა სწორე შუბლზე, ტუჩები ებრიცებოდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა, თითქოს ეს-ეს არის უნდა ატირდესო.

— დედა, შენ მამამ გაჩუქა ნახატი და აი ეს კი ნამდვილი ცოცხალი მათხოვარი!.. ჩვენთან რჩება... ხომ გაგეხარდა?.. დედა არ ჰყავს და არავინ არ ეფერება... მე ფორთოხალი მომცა...

— რა?.. რა?.. რა?..—ამბობდა გაოცებული დედა და უცქეროდა შეშინებული ხან ბიჭს, ხან შვილს და ხან მამას, რომელიც იდგა არა ნაკლებ გაშტერებული.

— ხა-ხა-ხა!..-ხა-ხა!.. გადაიხარხარა უცებ მამამ,—ყოჩაღ თამაზ, ყოჩაღ, ბიჭო! მაჯობა, რაღა დროსია... მე ნახატი და ამან კი ნამდვილი მათხოვარი გაჩუქა.

— დედა, შენი ჭირიმე, ჩემო, ჩემო კარგო დედა!—სთქვა თამაზმა, მიუახლოვდა დედას და მოეხვია ორივე ხელებით.

დედას ერთ წუთს ყველაფერი დაავიწყდა ქვეყანაზე, ჩაიკრა გულში თამაზი და დაუწყო უანგარიშოდ კოცნა პირის სახეზე, გულზე, ხელებზე.

— ამასაც, ამასაც მიეფერე, დედა .. მიეფერე, შენი ჭირიმე... შენ ხომ მათხოვრები გიყვარს... მამამ სთქვა...

დედა ისევ შესდგა, სახემ ისევ მკაცრი შესახედობა მიიღო ერთ წუთს, თითქოს რაღასიც თქმა უნდოდა, შუბლი შეიჭმუხვნა, მაგრამ შეხედა თუ არა ბიჭის შეშინებულ სახეს, წარბი გაიხსნა, ოდნავ გაიღიმა, გადაუსვა თავზე ხელი; უცებ შეკრთა და ზიზღით დაიხედა თავის თეთრ ხელზე,—ბიჭი ერთობ ჭუჭყიანი იყო და უკან დაიწია. მაგრამ მაშინვე მიიხედა მამისაკენ, შემდეგ თამაზისაკენ და ისევ შეხედა ბიჭს. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთს საშინლად გაწითლდა: თვალებზე ცრემლები მოადგა, მსწრაფლად დაიხარა, მოხვია ხელი პატარა მათხოვარს და შუბლზე აკოცა.

— საბრალო, საბრალო ბავშვი...—სთქვა მან ნელის ხმით.

მეორე ხელი მოჰხვია შვილს, რომელიც მოეჭდო კისერზე და ჰკოცნიდა.

ოთახში მარიამ შემოვიდა და შეშინებულმა წარმოსთქვა.

— უკაცრავად ვარ, ბატონო. თამაზს მოვახსენე, არ შეიძლება მეთქი...

— შენ, მარიამ, იცი, ერთი მართას დავვიმახე აქ,—უთხრა მას მამამ. მართა წამსვე გაჩნდა დარბაზში. დედა მაშინვე მიუბრუნდა მართას, მაგრამ იმან აღარ დააცალა სიტყვის თქმა, გასწია ქალბატონისაკენ, პირში თავლში ამოვლებული პური ჩაუდვა და გრძნობით მიულოცა:

— ღმერთმა ასე ტკბილად დაგაბეროს, შენი ჭირიმე და მრავალი ახალ წელიწადს დაგასწროს. შემდეგ მიულოცა ბატონსაც.

— მართა, თუ შეიძლება, ახალ წელიწადი კია, მაგრამ ეს ბავშვი დაბანე...

— ახლავე დავბან, ბატონო. ღმერთმა გადღეგრძელოს, რომ საწყალი, უდედ-მამო...

— დედ-მამა ჰყავს, მართა... ჩვენთან რჩება... დედამ აკოცა... დედას მათხოვრები მალიან უყვარს... მამამ თითონ სთქვა...—წამოიძახა თამაზმა.

მართა ერთ წუთს შედგა. შემდეგ დავარდა და მოეხვია ქალბატონს მუხლებზე და დაუწყო კოცნა, თანაც რაღაცას ამბობდა, მაგრამ არავის ესმოდა, რადგანაც ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა თვალთაგან და ხმაც უკანკალებდა. თამაზს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი გადაეხვია და რაღასაც სიცილით ელაპარაკებოდა პატარა მათხოვარს.

დედა და მამა შესცქეროდნენ ბავშვებს.

— აბა, თამაზ, გაიქეცი და შენი ტანისამოსი გამოუტანე... მერე საჩუქრებისთვის მოდით, — უთხრა მამამ და მიტრიალდა ფანჯრისაკენ.

**ნინო ნაკაშიძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალ წლის წინა ღამეს

(რუსულით)



ხვალ ახალი წელია. ღამე მეტად მოწმენდილია და ჰყინავს. განუსაზღვრელი, მოკრიალებული ცის სივრცე ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ურიცხვი და უთვალავია მათი კრებული, მაგრამ მაინც კიდევ გეჩვენებათ, თითქო კიდევ ემატება მათს გუნდსაო, სადღაც შორს არიან გაფანტულნი, იქ უფრო დიდრონი მოსჩანან, უფრო შუქ-მფენნი, მოკაშკაშე-მოელვარენი, როგორც ძვირფასი ბრილიანტნი მზის სხივებით გაბრწყინვებულნი. ხან-და-ხან მათი შუქი ისეთის ნაზის ციმციმით ათამაშდება, გეგონებათ საიდგანღაც მსუბუქმა სიომ დაუბერა, დაურღვია მყუდროება და აათამაშაო. აი, იქ, მოშორებით ვარსკვლავები თითქო ერთმანეთს შეუერთდნენ და ცას თეთრი ზოლი გაეკრა. ეს არის ირმის გზა, ანუ დევის ნამუხლი.

უცქერით ამ სანახაობას და გიკვირთ, ვინ გააბნია თავის მადლიანის უხვის ხელით ეს ოქროსავით ბრჭყვიალა ვარსკვლავები? ეს ვარსკვლავები ანგელოსთა გუნდია, ღვთისაგან გამოგზავნილი; მოფრინავენ და თან მოაქვთ ციური ცეცხლი საახალწლო ნაძვის ხეებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---ბევრგან აპრიალდება ამ საღამოს ნაძვის ხეზედ სხვა-და-სხვა ფერის სანთლები!...

ყინვა სულ უმატებს და უმატებს სუსხს. იმ ქუჩებში, სადაც ხალხის ქრიამული და ფუსფუსი იყო დღესასწაულის სამზადისში, ახლა დაცარიელებულია და სრული მდუმარება სუფევს, მხოლოდ აქა-იქ მოსჩანს ანთებული ცეცხლი, სადაც თბებიან გათოშილი ყინვისაგან მეეტლენი და ღამის დარაჯნი. ღამის ნიავით უფრო მეტად აპრიალებულ ცეცხლის ალს თავზე რაღაც გვირგვინებივით დადგმია გაყინულ ჭაერის წითელი სვეტები; მათს შავსა და მოგრძო ჩრდილებს-კი, ვინც იქ თბებოდნენ, თითქო სინათლისა შეჰშინებიათო, გარბიან სადღაც შორს, მალიან შორს, ცეცხლის შუქიდან. იშვიათად ქუჩაში გაისრიალებს ხოლმე მარხილი; მიდის, თითქმის მირბის შეგვიანებული მგზავრი; ცდილობს, რაც შეიძლება, კარგად გაეხვიოს თბილ ტანისამოსში და თავი მოარიდოს სუსხს. ცეცხლის შუქი ერთ წამს გაანათებს, დაგვანახვებს მის პირისახეს და მერე-კი მისდევს, თითქო უნდა ცნობის მოყვარეობა დაიკმაყოფილოს და დაინახოს, სად მიდის აჩქარებული მგზავრიო; მგზავრი-კი, თითქო გატაცებული სითბო-სინათლისა და მყუდრო ოჯახის ოცნებით, კიდევ უფრო მიიჩქარის და ინთქება ღამის წყვდიადში; გარბის, თითქო ეშინია, რომ მარტოდ მარტო არ დარჩეს და ქუჩაში არ მოუხდეს ახალ წლის მიგებება. აი, აგერ, უზარმაზარ სახლის ფანჯრიდან მოსჩანს სინათლე. შუქი მისი თეთრ ზოლებად ეფინება სპეტაკის თოვლით დაფენილ მიწას... აი, კიდევ და კიდევ.. ეს შუქი, უთუოდ, საახალწლო ნაძვის ხის სანთლებისა არის. მეორე სახლიდან მოისმოდა მხიარული ქრიამული, იქაც ედგათ ნაძვის ხე. მისი მშვენიერი მწვანე ტოტები გადახლართული იყო ოქროსა და ვერცხლის ფერ მაფებითა და ჯაჭვებით, ზედ ჩამოკიდებული იყო სხვა-და-სხვაგვარი სათამაშოები, ტკბილეულობა და ბევრი სხვა რამა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმძიმით ტოტები მორხაცუკი დახრილიყო. მის გარშემო მხიარული ფერხული ჩაებათ ამ სანახაობით აღტაცებულ ბავშვებს და მღეროდნენ. მათი სიამოვნებითა და მხიარულებით გაბრწყინვებული თვალები არ შორდებოდა გაჩირაღდნებულ ნაძვის ხეს, გულის ფანცქალით შეჰყურებენ კოპწიად მორთულ-მოკაზმულ ხეს, ვერ მოშორებოდნენ ისე, როგორც ზაფხულის ღამეში სინათლის შუქს თავს ევლებიან ფარვანები, რომლებიც, თუმცა ცხადად ჰხედავენ, რომ ბევრი მათგანი იღუპება, მაგრამ სიამოვნებისა და კმაყოფილებისათვის მაინც ვერ დაუნებებიათ თავი. ბავშვების თვალები სხვას ვერაფერს ამჩნევს, გარდა სხვა-და-სხვა ფერ სანთლებისა და სათამაშოებისა; იმასკი ვერ ჰხედავს, თუ როგორ ქარვასავით ყვითელ ცრემლებს აფრქვევს ნაძვის ხე...

ქალაქის განაპირას მიყრუებული ქუჩაა. ბადრი მთვარე უხვად უგზავნის დედა-მიწას თავის შუქს, რომელიც თეთრ ზეწარსავით ეფინება ისედაც თოვლისაგან თეთრად გადაპენტილს დედა-მიწას. სჩანან პატარ-პატარა სახლები მჭიდროდ ჩაკეტილ დარაბებით. მათ პატარა ეზოებიდან გამოსჩანს თოვლით დაბურული ხეები, რომელიც ეკლესიის გუმბათებს უფრო მოაგონებენ თოვლის ბარდანების სიმძიმის ქვეშ, ვიდრე ხეებს.

სინათლე ყველგან ჩამქრალია, მხოლოდ ერთ პატარა სახლის ქვედა სართულის ყინვისაგან მოხატულ ფანჯრიდან გამოკრთის სინათლე; ეს არის კუთხეში ხატის წინ პატარა ანთებული კანკელის მბჟუტავი სინათლის შუქი, რომელიც ესე მუნწად ანათებს პაწაწა ოთახს.

ოთახის მეორე კუთხეში, ღუმელის მახლობლად სდგას პატარა საწოლი, რომელშიაც სძინავს პაწაწა ბავშვს; მისი ხუჭუჭი თმა გაბნეული ბალიშზედ, საბნიდან უჩანს გამხდარი ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულიანად სძინავს ბავშვს, არ ინძრევა, თითქო ყურს უგ-დებს რასმე, ან ჩასცქერის უცხო რამ სანახაობას, რომლი-სათვისაც თვალი ვერ მოუშორებია... მართლაც რომ საკვირ-ველ სანახაობას ჰხედავს ბავშვი: ჰხედავს, როგორ უეცრად, შუა ოთახში, მის თვალ წინ აიმართა მაღალი, ძალიან მა-ღალი ნაძვის ხე; უმაღლესი იყო ჭერზედაც, ბანზედაც და მათ ეზოში რომ ალვის ხე სდგას—იმაზედაც, ერთის სიტ-ყვით, იმ სიმაღლე იყო ვითომ ნაძვის ხე, რომ მისი კენწე-რო ცასა ჰქონდა მიბჯენილი.

ეს ნაძვის ხე იყო განათებული ათას სხვა-და-სხვა ფე-რის სანთლით. ოთახში იდგა სასიამოვნო ნაძვის სუნი, ისე როგორც ძალიან მცხუნარე მზიან ზაფხულის დღეს ხშირ ნაძვნარში... საიდანღაც ბავშვს ესმის ციური ნაზი ხმები... ყოველ ამასთან ბავშვი ჰხედავს, როგორის სისწრაფით მის-ცურავს ცაზედ კაშკაშა მთვარე; მოცურდა მკვირცხლი ცის მნა-თობი და ნაძვის ხის კენწეროზედ შეჩერდა. შეინძრა ნაძვის მწვანე ტოტები და, როგორც ცოცხალი არსებანი, ისე იწყეს ხტუნაობა ზედ ჩამოკიდებულმა სათამაშოებმა. ერთი ამ მხტუ-ნავ ჯამბაზთაგანი როგორღაც სასაცილოდ შეხტა, ხელები გაიქნია და თან დააჟღარუნა ჟღარუნები, მის ჭრელად მორ-თულ ქუდზედ მიკერებული; შეინძრენ ცხენები, ცხვრები და კურდღლებიც; გაიპრიალა ცეცხლის ზოლებმა, გააშუქეს მო-ციმციმე ვარსკვლავებმაც... ამ დროს ვიღაც ჰაეროვანმა არ-სებამ, მსუბუქ ბურუსის რიდე-მოხვეულმა, ოდნავ შეარხია თა-ვისი ფრთები და გადიქროლა ნაძვის ხის წვერზე. უსილავის არსების ნაზმა ხელმა მოჰხსნა ყველა საუკეთესო სათამაშოები და მისცა ბავშვს. ბავშვის ფუნჩულა ბაგენი გააპო კმაყოფი-ლებით სავსე ღიმილმა, გაბრწყინდა მისი ანგელოსური უმან-კო სახე; გამოუთქმელ და განუსაზღვრელ სიამოვნების გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველი იყო იგი იმ წუთს... მან ნახა დედა, იგრძნო რაღაც სიტკბოება, სითბო მის დანახვაზე, ნახა დედა, თავისი ძვირფასი და დაუვიწყარი დედა, რომელმაც წელიწადზედ მეტია რაც დააობლა თავისი პატარა ბიჭიკო, დედა დაიხარა შვილის ლოგინზედ და მხურვალედ ჰკოცნიდა თავის ამდენის ხნის უნახავ თმა-ხუჭუჭა ბიჭს.

ელ. ჭიჭინაძე





# მოულოდნელი შობის ხე

(რუსულით)

მატარებელი ხმაურობით მირახრახებს მიუნჰენისაკენ. შობის წინა ღამეა. მგზავრნიცა, მემანქანეცა და მატარებლის მოსამსახურენიც მოუთმენლად ელიან გზის დაბოლოვებას, რომ დღესასწაულს დაუხვდნენ მახლობელთა და ნათესავთა შორის.

ვაგონებში ბევრი ხალხი არ არის. ყოველ სადგურზედ რომელიმე მგზავრი გადადიოდა თავის ბარგით და მის ადგილს იჭერდა ახალი მთელი გროვა შეხვეულებით და სიფრ ჟხალით აწყობდა თაროზედ. ამ შეხვეულებიდან მოსჩანდა დედოფლების ხელები, ფეხები, მასხარას თავი ჭრელის ჩაჩით, ან გადმოშლილი იყო ცხენების კუდები, მოსჩანდა ლამაზ წიგნების კუთხეები და ფერადი ყუთები. ყველგან სალაპარაკო გამხდარიყო შობის ხე, სურპრიზები და საჩუქრები. შობის ხე! აი თილისმიანი სიტყვა, რომელიც ღიმსა ჰგვრის და აახლოვებს ვაგონში მჯდომ სხვა-და-სხვა ჯურის ხალხსა. მიხრწნილი მოხუცი წამდაუწუმ საათსა ჰშინჯავდა, მერე შეჰხედავდა თავზეით თაროზედ შედებულს პაკეტს, საიდანაც მოსჩანდა დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რქები მოხისა და ბატკნის თეთრი ბეწვი. მოხუცი ისე ფ[illegible]-მებოდა, თითქოს კიდეც ჰხედავს თავის შვილიშვილებს, რომელნიც ზედ ელალებიან და ჰკოცნიან თავიანთ განებიერებულს პაპასაო.

აგერ ახალგაზდა ცოლ-ქმარნი. დედ-მამასთან მიდიან და მოულოდნელად უნდა გაახარონ. როდესაც ყველანი შეიკრიბებიან დიდ დარბაზში, სადაც იდგება დიდი და განათებული შობის ხე, მოულოდნელად შევაღებთ კარებს და გადავეხვევით მშობლებსაო. დაიწყება კოცნა, ალერსი, მოკითხვა, საჩუქრების დარიგება... ოჰ, რა მხიარულება იქნება!

ვაგონში წევს შალში გახვეული პატარა ქალი, გვერდით დედა უზის და ამაოდ სცდილობს დააძინოს ბავშვი. ბავშვს ძილისთვის არა სცალიან: თვალები უბრწყინავს; იმის ფიქრი შობის ხესა და პაპა-ბებიისაგან დამზადებულ საჩუქრებს დასტრიალებს.

აი, სტუდენტიც, თუმცა სცდილობს დამშვიდებული და დაწყნარებული იყოს, მაინც ეტყობა მღელვარება და ღიმილი ვერ შეუკავებია, როდესაც თვალწინ ეხატება ბედნიერი სახე დედისა, ან ცელქი პატარა და, რომელიც სიხარულით ცას დაეწევა, როცა დაინახავს და ყელზედ ჩამოეკიდება უფროს ძმას.

მშვენიერი საღამო დადგა. ცაზედ სრიალებდა სავსე მთვარე, მატარებელი მიდიოდა ლამაზ მთიან გზაზედ. ფიჭვი და ნაძვი ხოვგან ზედ გზის პირას ამართულიყო. ვაგონებში ნელ-ნელა დამყარდა სიჩუმე. ბავშვები დააძინეს. ლაპარაკი შესწყდა. უცებ ვაგონები შეირყა, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა, ხანდუკები, ყუთები, შეხვეული ნივთები გადმოცვივდა თაროებიდან და მგზავრებს გადმოეყარა თავზედა. ყველანი წამოხტნენ; გაისმა კივილ-წივილი, ხალხი მიაწვა დაკეტილ კარებს; საერთო შიში დატრიალდა. მერე ყველა ჩაჩუმდა: რახრახი და რყევა ვაგონებისა შეჩერდა და მატარებელი შედგა. გზაზედ გამოჩნდა სანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები; მატარებლის მოსამსახურენი გზასა სინჯავდნენ, დიდი არაფერია. მადლობა ღმერთს! სამი-ოთხი ბურღი გამომძვრალა და მატარებელი რელსებს ასცდენია. უბედურება არ მომხდარა, მხოლოდ წასვლა აღარ შეიძლებაო. მანამ ახლო სადგურიდან გამოგზავნიან მუშებს გზის შესაკეთებლად, კარგა ხანი გავა. მგზავრები დაღონდნენ. როგორ თუ წასვლა არ შეიძლებაო? შობის ხე? ნუ თუ მთელ ღამეს აქ უნდა ვისხდეთ? ბავშვები ტიროდნენ, დიდრონები ოხრავდნენ. საერთო არეულობა იყო. მხოლოდ სტუდენტმა არ დაჰკარგა გონება, აკრიფა იატაკიდან გადმოცვინული ნივთები და დააწყო თაროებზედ. ნელ-ნელა დამშვიდნენ. მგზავრები გამოვიდნენ ჰაერ შეხუთულ ვაგონებიდან. ისევ მხიარული ლაპარაკი ასტუდა, მატარებელი მშვენიერ ალაგას გაჩერდა: ერთ მხარეს გაბმული ტყე იყო, მეორეს—გადაშლილი, განიერი ველი. მეორე კლასის ვაგონთან იდგა მაღალი ლამაზი ნაძვი და მის გვერდითაც ამოსულიყო პატარა და შნოიანი ნაძვი, რომელიც მთლად ბრწყინავდა მთვარის შუქზე. გარს დუმილი სუფევდა, მხოლოდ პატარა ქალი ტიროდა და დედას დაპირებულ შობის ხეს სთხოვდა.

— აი, ესეც თქვენი შობის ხე! მოვრთათ და ის იქნება, — სთქვა სტუდენტმა. მგზავრებმა ერთმანეთს შეხედეს. რატომაც არა, სახლში ხომ მაინც შობის ხეს ვერ მიუსწრობთ! ნივთები ბევრი,ა ვაგონში! ზოგს სანთლები ჰქონდა, ზოგს ვაშლები, შაქრის პურები და კაკლები. უცბად დაფაცურდნენ დიდრონები, გამოხვეტეს ნაძვთან თოვლი, გახსნეს შეკრული ნივთები და დაიწყეს შობის ხის მორთვა. ბავშვები ჰხტოდნენ, ტაშს უკრავდნენ სიხარულით. წლოვანების განსხვავება, ღირსება—ყოველივე გასწორდა და შეერთდა საერთო მხიარულებით. სტუდენტმა ისე მოიგიჟიანა თავი, რომ გადაბრუნებული ქურქი წამოისხა, ზედ დაჰკიდა ნაძვის კაკლები, ქუდზედ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებზედ თოვლი დაიყარა, ხელში დაიჭირა ნაძვის ტოტი და ისე კარგად წარმოადგინა მოხუცი ზამთარი, რომ ბავშვების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ტყე გაიკმინდა და გაოცებული შესცქეროდა უჩვეულებრივო სურათს; მკვლმა ორთქლ მავალმა, რომელიც გზის არდი-გარდმო იდგა, თითქოს თავი მოიბრუნა, რომ დაენახა ხალხის მხიარულება... და უცბად აპრიალდა სანთლები ნაძვზე, მოხუცმა მემანქანეს ანიშნა, ყველამ ქუდი მოიხადეს და მთელს ტყეში გაისმა საერთო მწყობრი გალობა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა!..“

აქამდე უცნობი ხალხი სიხარულით ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, ულოცავდნენ მომავალს დღესასწაულს, სთავაზობდნენ საჩუქრებს. დიდსაც და პატარასაც სახე გაბრწყინვალებული ჰქონდა სიხარულით და ბედნიერებით. არას დროს არ მიჰგებებიან ამ რიგად დღესასწაულს და დიდხანს იგონებდნენ საერთო „შობის ხეს.“

ცლ. ანტონოვსკისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირუტყვების გონიერება

## სპილომ კაცი ქურდობაში დაიჭირა

(თარგმანი)

მოჯამაგირე სპილოს საჭმელსა ჰპარავდა. ქალბატონმა შეუტყო და ძრიელ გაუწყრა. მოჯამაგირემ ურცხვად გადაჰფიცა. სპილო იქვე ისე გაუნძრევლად იდგა, თითქო იმათ ლაპარაკს გულ-მოდგინედ ყურს უგდებსო, შემდეგ მიტრიალდა კუთხისკენ, სადაც მოსამსახურის ჩასაცმელი იდო, აიღო და დაიქნია. ჩასაცმელის სარჩულიდან ზღვა ბრინჯი-კი წამოცვივდა.

ოლღა ჭრელაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

### თოვლის გუნდა იწვის

აიღეთ თოვლის გუნდა, აჩვენეთ მაყურებელთ და მოუკიდეთ წუმწუმა; გაკვირვებული მაყურებელი დაინახავს, როგორ მოედება ცეცხლი თოვლის გუნდას.

ა ხ ს ნ ა. პატარა ქაფურის ნატეხი ჩასდეთ თოვლის გუნდაში. წუმწუმა უცბად ცეცხლს გაუჩენს ქაფურს, რომლის ალშიაც გაეხვევა თოვლის გუნდა. მაყურებელთ კი ეგონებათ, თოვლის გუნდა იწვისო.

---

## რებუსი

(წარმოდგენილი ირაკლი მიქაბერიძის-მიერ)




---

**მე-24 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:**

შობა ოცდა ხუთ დეკემბერს არის.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა







# შობის ხის სიმღერა.

მუსიკა ზაქ. ფალიაშვილისა.






1 შობის ხისა გარშემო,
დავდივართ და დავმღერით.

2. შობის ხე ნათლად ბრწყინავს,
ათას ფერადა ბზინავს.

3. შობის ხე ჩვენ გვახარებს,
ბევრს საჩუქრებს გვიმზადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ დღიური სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი

**წელიწადი მესამე** **დ რ ო ე ბ ა** **წელიწადი მესამე**

გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც დღემდე გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

(გამოვა ✦ **სურათებიანი დამატება** ✦ კვირაობით.)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის:

**გაზეთის ფასი დამატებიანად:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ. ერთი თვით—80 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ. დამატებიანი 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი 40 კ. 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ:

კედლის კალენდარი 1910 წლის,—კვირეულის ფურცლებით

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სვ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

---

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ თვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

**„განათლება"-ზედ**

(წელიწადი მესამე)

1910 წლიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის. წლიური ფასი ხელის მომწერთათვის 3 მან. ნახევარი წლით 2 მან.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის რედაქციაში.

ადრესი: Тифлисъ Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

## წელიწადი მეექვსე

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. **დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი**, — ზღაპარი ევალდისა ექვსი სურათით. — II. **მარჯნები**, — ზღაპარი ევალდისა ოთხი სურათით. III. **თორმეტი და**, — ზღაპარი ევალდისა ერთი სურათით. — IV. **ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.**

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

---

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**